About the Irish health system

A guide for refugees and other migrants

ირლანდიის ჯანდაცვის სისტემის შესახებ

გზამკვლევი ლტოლვილებისა და სხვა მიგრანტებისთვის

HSE Social Inclusion

Plain English
Approved by NALA

უკეთესი ანდაცვის სერვისის შექმნა

Building a Better Health Service

About this guide

Welcome to Ireland. The Health Service Executive (HSE) has developed this short guide to help you understand the Irish public health system.

The guide is in three parts:

Part 1 gives you information on how to access different types of health care, the services that are free and how the GP (doctor), pharmacy (chemist) and hospital systems work. Part 1 begins on page 4.

Part 2 gives you information about specialist services:

- dental treatments,
- eye tests,
- hearing aids,
- vaccinations.

It also gives you information about some staff you may meet in the health system. Part 2 begins on page 9.

Part 3 tells you what to do in an emergency. Part 3 begins on page 12.

Keep this guide

This is an important document, so please keep it as you will need it again.

If you don't understand any part of this guide, please ask for help at your local health centre to help you with it. You can also get more information online at www.hse.ie or

Callsave: 1850 24 1850

Phone: 041 685 0300

Email: hselive@hse.ie

გზამკვლევის შესახებ

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ირლანდიაში. ჯანდაცვის აღმასრულებელმა ორგანომ ეს მოკლე გზამკვლევი თქვენთვის შეიმუშავა. ის დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ ირლანდიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში.

გზამკვლევი სამი ნაწილისგან შედგება:

ნაწილი 1 გაწვდით ინფორმაციას, თუ როგორ უნდა ისარგებლოთ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებით, რა უფასო სერვისებია ხელმისაწვდომი და როგორ მუშაობს თერაპევტის (ზოგადი პროფილის ექიმის), აფთიაქის და საავადმყოფოს სისტემა. ნაწილი 1 მე-4 გვერდზე იწყება.

ნაწილი 2 გაწვდით ინფორმაციას სპეციალისტების მომსახურების შესახებ:

- სტომატოლოგიური მომსახურება;
- მხედველობის შემოწმება;
- სასმენი აპარატები;
- ვაქცინაციები;

აქვე მოცემულია ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომელიც შესაძლებელია ჯანდაცვის სისტემაში შეგხვდეთ. ნაწილი 2 მე-9 გვერდზე იწყება.

ნაწილი 3 გადაუდებელ შემთხვევაში მოქმედების წესს გაგაცნობთ. ნაწილი 3 მე-12 გვერდზე იწყება.

შეინახეთ ეს ბროშურა

ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ამიტომ შეინახეთ ის, რადგან შეიძლება კვლავაც დაგჭირდეთ.

თუ ამ გზამკლევის რომელიმე ნაწილი არ გესმით, გთხოვთ, მიმართოთ თქვენს ადგილობრივ სამედიცინო ცენტრს, რომელიც დახმარებას გაგიწევთ. უფრო მეტი ინფორმაცია ასევე მოცემულია ონლაინ ვებგვერდზე www.hse.ie ან

Callsave: 1850 24 1850

ტელეფონი: 041 685 0300

ელფოსტა: hselive@hse.ie

Part 1: How to access different types of health care and how the system works

How do I access the health service?

When you arrive in Ireland, you will learn how to apply for a medical card. This card gives you free access to some health services. **You can apply for it online at www.medicalcard.ie**

You need the following information to apply for a medical card: name, address, date of birth, Personal Public Service Number (PPSN), social welfare payment information and GP (doctor) acceptance and signature.

Three months before a medical card expires (can't be used any more), there will be a review to see if a person still qualifies for the medical card. But, the HSE can review if a person qualifies for a medical card at any time.

If you are over 70 you will also need to apply for a medical card.

The card looks like this:

Will I have to pay for health services?

Most health services are **free with a medical card.**

How long will I have a medical card for?

The card usually lasts for about **two years.** Protection applicants get the card for a year. The HSE will write to remind you to renew your card. Please ensure that you complete and return these forms to renew your card.

If you are over 70, you will need to apply for a medical card just once.

When you apply for a new card or a replacement card, you must make sure that you provide all the information asked for on the application form. You must tell the medical professionals and medical services if information like your address, contact details or your medical or financial circumstances have changed.

ნაწილი 1: როგორ ისარგებლოთ სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარებით და როგორ მუშაობს ჯანდაცვის სისტემა

როგორ ვისარგებლო სამედიცინო მომსახურებით?

ირლანდიაში ჩამოსვლისას გაარკვევთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განაცხადი სამედიცინო ბარათის მიღებაზე. ეს ბარათი ზოგიერთ სამედიცინო მომსახურებაზე უფასო წვდომას გაძლევთ. **შეგიძლიათ შეიტანოთ განაცხადი ონლაინ ვებგვერდზე www.medicalcard.ie**

სამედიცინო ბარათზე განაცხადის შესატანად შემდეგი ინფორმაცია დაგჭირდებათ: სახელი და გვარი, მისამართი, დაბადების თარიღი, სახელმწიფო სერვისების პირადი ნომერი (PPSN), ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის გადახდების შესახებ და თერაპევტის (ზოგადი პროფილის ექიმის) თანხმობა და ხელმოწერა.

სამედიცინო ბარათის ვადის გასვლამდე (მისი გამოყენების ვადის ამოწურვამდე) სამი თვით ადრე, ჩატარდება საკითხის ხელახალი განხილვა იმის დასადგენად, კვლავ აკმაყოფილებს თუ არა პირი სამედიცინო ბარათის მიღების პირობებს. თუმცა, ჯანდაცვის აღმასრულებელ ორგანოს (HSE) ნებისმიერ დროს შეუძლია განიხილოს, აქვს თუ არა პირს სამედიცინო ბარათის მიღების უფლება.

თუ 70 წელზე ზემოთ ხართ, მაინც უნდა შეიტანოთ განაცხადი სამედიცინო ბარათის მიღებაზე.

ბარათი ასე გამოიყურება:

მომიწევს თუ არა სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდა?

სამედიცინო სერვისების უმეტესობა **უფასოა სამედიცინო ბარათის არსებობის შემთხვევაში.**

რამდენი ხანი მექნება სამედიცინო ბარათი?

როგორც წესი, ბარათის ვადაა დაახლოებით **ორი წელი.** პირები, რომლებიც საერთაშორისო დაცვას ითხოვენ, ბარათს ერთი წლის ვადით მიიღებენ. ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო მოგწერთ და შეგახსენებთ, რომ თქვენი ბარათი უნდა განაახლოთ. დარწმუნდით, რომ ბარათის გასანახლებლად შეავსეთ და ჩააბარეთ აღნიშნული ფორმები.

თუ 70 წელზე ზემოთ ხართ, სამედიცინო ბარათზე განაცხადი მხოლოდ ერთხელ უნდა შეიტანოთ.

ახალი ბარათის მიღებაზე ან მის შეცვლაზე განაცხადის შეტანისას, დარწმუნდით, რომ ანკეტაში მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია მიუთითეთ. თქვენი მისამართის, საკონტაქტო მონაცემების ან თქვენი სამედიცინო თუ ფინანსური პირობების ცვლილების შემთხვევაში, უნდა შეატყობინოთ სამედიცინო მუშაკებს და სამედიცინო სამსახურებს.

When checking if you qualify for a card, the HSE will ask you for your consent to contact other departments.

Being able to continue to keep a medical card depends on your personal, social, medical and financial circumstances. This might mean that you cannot keep your card if you find work or your financial position improves.

What do I do if I am not well?

This will depend on how unwell you are.

ბარათის მიღებაზე თქვენი უფლების შემოწმებისას, ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო მოითხოვს თქვენს თანხმობას სხვა განყოფილებებთან დაკავშირებაზე.

სამედიცინო ბარათით სარგებლობის გაგრძელება დამოკიდებულია თქვენს პირად, სოციალურ, სამედიცინო და ფინანსურ პირობებზე. ეს ნიშნავს, რომ თქვენს ბარათს ვერ შეინარჩუნებთ, თუ სამუშაოს იპოვით ან თუ თქვენი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

რა უნდა გავაკეთო, თუ თავს ცუდად ვიგრძნობ?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ცუდად გრძნობთ თავს.

A little unwell

(examples: cold or flu)

Mind yourself: Ask local pharmacists (chemists) for advice or follow previous advice given by medical professionals, for example take paracetamol. (See page 6)

მსუბუქი ფორმით

(მაგ.: სურდო ან გრიპი)

გაუფრთხილდით საკუთარ თავს: რჩევისთვის მიმართეთ ადგილობრივ აფთიაქებს (ფარმაცევტებს), ან გაითვალისწინეთ სამედიცინო სპეციალისტების მიერ ადრე მოცემული რჩევა, მაგალითად, მიიღეთ პარაცეტამოლი. (იხ. გვერდი 6)

Unwell and need medical advice or care

Ring your local GP (doctor) or out-of-hours doctor's service and make an appointment to see them. (See page 7)

თავს ცუდად გრძნობთ და გჭირდებათ სამედიცინო კონსულტაცია ან მომსახურება

დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ თერაპევტს (ზოგადი პროფილის ექიმს) ან მორიგ ექიმს და შეათანხმეთ მასთან ვიზიტის დრო. (იხ. გვერდი 7)

Seriously unwell or have an unexpected or serious illness

Ring your local GP (doctor) or out of hours doctor's service and make an appointment. You may then need to go to the emergency department or local injury unit. If you have an illness or injury that the GP cannot fully diagnose or treat, they will send you to a hospital. If they think that you need very urgent treatment, they will give you a referral letter for the Local Injury Unit (LIU) or hospital's emergency department (often called 'ED' or A and E). (See pages 7 and 12).

ძალიან ცუდად ან გაქვთ უეცრად განვითარებული სერიოზული დაავადება

დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ თერაპევტს (ზოგადი პროფილის ექიმს) ან მორიგ ექიმს ვიზიტის დასანიშნად. ამის შემდეგ, შეიძლება დაგჭირდეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში ან ადგილობრივი ტრავმატოლოგიის პუნქტში მისვლა. თუ ისეთი დაავადება ან ტრავმა გაქვთ, რომლის სრული დიაგნოზირება ან მკურნალობა თერაპევტს არ შეუძლია, საავადმყოფოს მიმართვას მოგცემენ. თუ ჩათვლიან, რომ გადაუდებელი მკურნალობა გჭირდებათ, მოგცემენ ადგილობრივ ტრავმატოლოგიურ პუნქტის (რომელსაც ასევე უწოდებენ „გადაუდებელი დახმარების განყოფილებას, „ED"-ს ან „A და E") მიმართვის წერილს. (იხ. გვერდი 7 და 12).

If you suspect or have confirmed that you are pregnant or have recently had a baby.

Once you suspect or have confirmed that you are pregnant you should contact your GP (doctor) who will refer you to the local Maternity unit / hospital. Maternity services are available to you for all of your regular check-ups as well as any concerns or pregnancy related emergencies you may have. Maternity care in Ireland is available free of charge to women living in Ireland.

თუ გაქვთ ეჭვი, ან დაგიდასტურდათ, რომ ორსულად ხართ, ან ცოტა ხნის წინ გააჩინეთ ბავშვი.

როგორც კი ეჭვი გაგიჩნდებათ ან დაგიდასტურდებათ, რომ ორსულად ხართ, უნდა მიმართოთ თქვენს ექიმს, რომელიც გადაგამისამართებთ ადგილობრივ სამშობიარო განყოფილებაში/საავადმყოფოში. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სამშობიარო მომსახურებით ყველა თქვენი რეგულარული გამოკვლევის დროს ან თქვენს ორსულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემისა თუ გადაუდებელი სიტუაციის განმავლობაში. ირლანდიაში მცხოვრები ქალებისთვის სამშობიარო მომსახურება უფასოა.

The following pages give you more detail on each of the above options.

შემდეგ გვერდებზე მოცემულია უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია თითოეულ ზემოაღნიშნულ ვარიანტზე.

A little unwell

You should take care of yourself or whoever you are looking after. Go to the pharmacist (chemist) and or look up further information on reliable websites (see 'Get more information' below on page 14).

Take care of yourself and your loved ones

You can take care of yourself and and others you may be looking after by:

- eating a healthy diet
- drinking plenty of water
- taking regular exercise
- wearing footwear and clothing suited to Irish weather

Ask your local pharmacist (chemist) for advice

You can get free advice from your local pharmacist (chemist). You can also get medicine if you need it. (See pages 10-11.) A pharmacy is a shop where medicinal drugs are prepared and sold.

Get more information

We have a very good website **www.undertheweather.ie** Type in this address on the internet and you can get useful tips for looking after your health and treating common illnesses.

Medical staff will give you expert help if you need it.

მსუბუქი ფორმით

უნდა იზრუნოთ საკუთარ თავზე ან იმაზე, ვისაც უვლით. წადით აფთიაქში (ფარმაცევტთან) ან მოძებნეთ დამატებითი ინფორმაცია სანდო ვებსაიტებზე (იხ. „მიიღეთ მეტი ინფორმაცია“ მე-14 გვერდზე).

იზრუნეთ საკუთარ თავზე ან ახლობლებზე

საკუთარ თავზე ან თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ადამიანებზე ზრუნვა შემდეგნაირად შეგიძლიათ:

- ჯანსაღი კვებით
- ბევრი წყლის დალევით
- რეგულარული ვარჯიშით
- ირლანდიის ამინდისთვის შესაფერისი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ტარებით

რჩევისთვის თქვენს ადგილობრივ ფარმაცევტს (აფთიაქს) მიმართეთ

უფასო რჩევა შეგიძლიათ ადგილობრივ აფთიაქში (ფარმაცევტისგან) მიიღოთ. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ მედიკამენტიც შეიძინოთ (იხ. გვერდი 10-11). აფთიაქი არის ადგილი, სადაც მზადდება და იყიდება სამედიცინო პრეპარატები.

მიიღეთ უფრო მეტი ინფორმაცია

ჩვენ ძალიან კარგი ვებსაიტი გვაქვს: **www.undertheweather.ie** შეიყვანეთ ეს მისამართი ინტერნეტში და მიიღეთ სასარგებლო რჩევები თქვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვის და ზოგადი დაავადებების მკურნალობის შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალი კვალიფიცირებულ დახმარებას გაგიწევთ.

Unwell and need medical advice

If you feel that you need medical advice, you will need to go to see a GP (doctor). These are qualified **doctors** who work in the community.

If you can, make an appointment to see them.

Normally, you need to make an **appointment** to see a GP. If you have a medical card, your visit to the GP will be **free.** Otherwise, you might have to pay about €50-€60 a visit. You can ask about the doctor's fee when you are making your appointment.

GPs deal with general health and medical problems. They can:

- **carry** out tests and diagnose what is wrong with you
- **treat** illnesses and minor injuries and advise you on how to recover
- **give** you a prescription – a document which allows chemists to provide medicines that are only available when a doctor says you need them
- **advise** you on mental health supports available if you've been feeling sad or worried about things

What happens if the GP cannot fully diagnose or treat me?

If you have an illness or injury that the GP cannot fully diagnose or treat, they will send you to a hospital. If they think that you need urgent treatment, they will give you a referral letter for the hospitals Local Injury Unit (LIU) or emergency department (often called 'ED' or A and E).

If your case is not urgent but you need expert treatment, your GP will give you a **letter or send a letter to the hospital** to get an appointment with a medical specialist – usually a specialist hospital doctor who can provide the right advice and treatment, but there may be a wait time for this appointment. This visit will be free if you have a medical card.

In Ireland, health care professionals like doctors try to see patients most in need of medical attention first. Health care professionals decide who needs treatment the most. This means that you may have to wait to be seen. If you do not speak English, ask if you can get an interpreter.

თავს ცუდად გრძნობთ და სამედიცინო კონსულტაცია გჭირდებათ

თუ ფიქრობთ, რომ სამედიცინო რჩევა გჭირდებათ, ეწვიეთ თერაპევტს (ზოგადი პროფილის ექიმს). თერაპევტები არიან კვალიფიცირებული **ექიმები**, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობენ.

თუ შესაძლებელია, ჩაეწერეთ მათთან ვიზიტზე.

როგორც წესი, თერაპევტთან **ვიზიტზე** უნდა ჩაეწეროთ. თუ სამედიცინო ბარათი გაქვთ, თერაპევტთან ვიზიტი **უფასო** იქნება. სხვაგვარად, შეიძლება ვიზიტზე 50-60 ევროს გადახდა მოგიწიოთ. ექიმის კონსულტაციის საფასური ვიზიტზე ჩაწერის დროს შეგიძლიათ გაარკვიოთ.

თერაპევტები ზოგად სამედიცინო და ჯანმრთელობის პრობლემებზე მუშაობენ. მათ შეუძლიათ:

- **ჩაატარონ** ტესტები და დაგისვან დიაგნოზი
- **უმკურნალონ** დაავადებებს და მცირე ტრავმებს და გაგიწიოთ რეკომენდაცია, თუ რა უნდა გააკეთოთ გამოჯანმრთელების მიზნით
- **გამოგიწეროთ** წამალი – დოკუმენტი, რომელიც აფთიაქებს საშუალებას აძლევს, მოგცეთ ისეთი წამლები, რომლებიც მხოლოდ რეცეპტით გაიცემა
- **გაგიწიოთ რჩევა** ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელმისაწვდომ მომსახურებაზე, თუ თავს დამწუხრებულად ან სევდიანად გრძნობთ.

რა მოხდება, თუ თერაპევტს არ შეუძლია სრული დიაგნოზის დასმა ან მკურნალობის დანიშვნა?

თუ ისეთი დაავადება ან ტრავმა გაქვთ, რომლის სრული დიაგნოზის დასმა ან მკურნალობა თერაპევტს არ შეუძლია, საავადმყოფოში მიმართვას მოგცემენ. თუ ჩათვლიან, რომ გადაუდებელი მკურნალობა გჭირდებათ, საავადმყოფოში არსებულ ადგილობრივ ტრავმატოლოგიური პუნქტის ან „გადაუდებელი დახმარების განყოფილების მიმართვის წერილს (ხშირად უწოდებენ „ED“ ან „A და E“) მოგცემენ.

თუ თქვენი შემთხვევა არ არის გადაუდებელი, მაგრამ გჭირდებათ სპეციალისტის მკურნალობა, თქვენი თერაპევტი მოგცემთ **მიმართვას ან გააგზავნის წერილს საავადმყოფოში** ექიმ-სპეციალისტთან ვიზიტის დასანიშნად. - როგორც წესი, ეს არის საავადმყოფოს ექიმი-სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია სწორი რჩევის მიცემა და მკურნალობის დანიშვნა, თუმცა მასთან მოსახვედრად შეიძლება ლოდინი მოგიწიოთ. ეს ვიზიტი უფასო იქნება, თუ სამედიცინო ბარათი გაქვთ.

ირლანდიაში სამედიცინო სპეციალისტები, როგორიცაა ექიმები, უფრო მეტად ისეთ პაციენტებს ხვდებიან, რომლებსაც სამედიცინო დახმარება პირველ რიგში სჭირდებათ. ექიმი-სპეციალისტები წყვეტენ, ვის სჭირდება მკურნალობა ყველაზე მეტად. ეს იმას ნიშნავს, რომ ექიმის სანახავად შეიძლება ლოდინი მოგიწიოთ. თუ ინგლისურად არ საუბრობთ, იკითხეთ, შესაძლებელია თუ არა თარჯიმნის დახმარება.

What if I am pregnant?

If you suspect you are pregnant or are pregnant, you can contact your local Maternity unit/ hospital for advice or attend in person depending on the situation.

Your GP (doctor) will refer you to the local Maternity unit/ hospital who will offer you regular appointments with Midwives and Obstetricians. The Maternity unit/hospital will be able to arrange for interpreter services to be available to you for your appointments. You will Maternity services are available free of charge to women who are living in Ireland.

If you have any urgent concerns regarding your pregnancy, you should attend local Maternity service without delay. This may include:

- Bleeding for your vagina
- You are leaking fluid from your vagina
- Have observed a change or reduction in your baby movements.
- Are experiencing headaches / blurred vision/heartburn
- Are known to have a high risk pregnancy
- Signs of labour.

What do I need to tell my GP (doctor)?

Before your GP can treat you, they will need to ask you questions about your general health and medical history.

The doctor will ask you questions about:

- other illnesses and injuries you had
- how they were treated
- any allergies you may have
- what medications you take

Please answer all the questions the GP asks you. This will help them to make the correct diagnosis and decide on the right treatment.

You should bring your medical card with you to the GP and, if you think it will help the doctor, any further medical information or records.

Do I need an appointment to see the GP?

In most situations, yes, as most GPs use an appointment system. Appointments are usually made for one family member only. If you need the GP to see two or more people, then you need to arrange more than one appointment.

Some clinics/doctors offer walk-in clinics.

It is very important to go to the appointment.

რა უნდა გავაკეთო, თუ ორსულად ვარ?

თუ გაქვთ ეჭვი, რომ ორსულად ხართ, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თქვენს ადგილობრივ სამშობიარო განყოფილებას/საავადმყოფოს რჩევის მისაღებად ან მობრძანდეთ პირადად, საჭიროებისამებრ.

თქვენი ზოგადი პრაქტიკის ექიმი (ექიმი) გადაგამისამართებთ ადგილობრივ სამშობიარო განყოფილებაში/საავადმყოფოში, სადაც შემოგთავაზებენ რეგულარულ შეხვედრებს ბებიაქალებთან და მეანებთან. სამშობიარო განყოფილებას/საავადმყოფოს აქვს შესაძლებლობა დაგინიშნოთ თარჯიმანი თქვენი ვიზიტების განმავლობაში. ირლანდიაში მცხოვრები ქალებისთვის სამშობიარო საავადმყოფოს მომსახურება უფასოა.

თუ თქვენ გაქვთ რაიმე გადაუდებელი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია თქვენს ორსულობასთან, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ თქვენს ადგილობრივ სამშობიარო განყოფილებას/საავადმყოფოს. ეს შეიძლება იყოს:

- სისხლდენა
- გამონადენი
- ბავშვის მოძრაობების ცვლილებას ან შემცირებას.
- თავის ტკივილი / მხედველობის დაბინდვა / გულძმარვა
- თუ იცით, რომ თქვენი ორსულობა მაღალი რისკის ქვეშაა
- მშობიარობის ნიშნები.

რა უნდა ვუთხრა ჩემს თერაპევტს (ზოგადი პროფილის ექიმს)?

სანამ თქვენი თერაპევტი მკურნალობას დაგინიშნავთ, ის რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ თქვენი ზოგადი ჯანმრთელობისა და სამედიცინო ისტორიის შესახებ.

ექიმი შემდეგ კითხვებს დაგისვამთ:

- სხვა დაავადებებისა და ტრავმების შესახებ, რომლებიც გქონდათ
- როგორ მოხდა მათი მკურნალობა
- გაქვთ თუ არა რაიმე ალერგია
- რა მედიკამენტებს ღებულობთ

გთხოვთ, უპასუხოთ ყველა შეკითხვას, რომელსაც თერაპევტი დაგისვამთ. ეს მას სწორი დიაგნოზის დასმის და სათანადო მკურნალობის დანიშვნაში დაეხმარება.

თერაპევტთან თქვენი სამედიცინო ბარათი უნდა წამოიღოთ, მათ შორის ნებისმიერი სხვა სამედიცინო ინფორმაცია ან ჩანაწერი, რომელიც, თქვენი აზრით, ექიმს გამოადგება.

დამჭირდება თუ არა თერაპევტთან ვიზიტზე ჩაწერა?

დიახ, თერაპევტთა უმრავლესობა, ძირითადად, ჩაწერის სისტემას იყენებს. როგორც წესი, ვიზიტზე მხოლოდ ერთი ოჯახის წევრი უნდა ჩაიწეროს. თუ გსურთ, რომ თერაპევტმა ორი ან მეტი ადამიანი ნახოს, მაშინ ერთზე მეტ ვიზიტზე უნდა ჩაეწეროთ.

ზოგიერთი კლინიკა/ექიმი პაციენტებს მომსახურებას წინასწარი ჩაწერის გარეშე აწვდიან.

ვიზიტზე მოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია.

What happens if I can't go to the appointment?

If you are offered a medical appointment and do not turn up, **you may not be offered another appointment.** You must be on time for appointments.

If you cannot go to your appointment, please tell the clinic/doctor so that your appointment can be given to another person. You can telephone the clinic/doctor to say that you can't attend. If you still need to see a doctor, you can make another appointment.

When illness or injury needs to be investigated, a GP may do medical tests. Depending on the results, they might send you to a specialist doctor in a hospital. Treatment by a specialist is based on medical need.

Important

There is a **waiting list** to see most medical specialists and this may mean that you will have to wait for a long time before they see you.

When are GP surgeries open?

GP services are usually open from 9am to 6pm.

Outside of these times, GP services are available for emergency consultations in **most** towns after 6pm. These services are called „out of hours". You may wish to check with your local service where and when you can access their surgery and arrangements for out of hours. You can use this out of hours service if you need to see a doctor urgently in the evening or at weekends.

The out of hours service is for urgent medical care only. Your GP will have their out of hours information on the answer machine if you ring them outside normal clinic hours. This service is usually between 6pm and 8am Monday to Friday and 24 hours on Saturdays, Sundays and Bank Holidays.

The out of hours service does not provide routine clinic appointments and, if your medical issue is not urgent, you should make an appointment with your GP during normal clinic hours.

What happens when I ring a GP out of hours service?

When you ring the out of hours service in your area, a receptionist will take your personal details.

Your call will be referred to a nurse who will ring you back.

The nurse will decide if you need over the phone nursing advice, an appointment with a GP, a house call, a referral to a hospital emergency department, or an ambulance.

Clinical decisions or treatments made by the out of hours service are noted in your record and the information is sent to your GP to make sure your treatment is followed up if needed.

რა მოხდება, თუ ვიზიტზე ვერ მივდივარ?

თუ ექიმთან ჩაეწერებით და ვიზიტზე არ გამოცხადდებით, **სხვა ვიზიტზე ვერ ჩაეწერებით.** ვიზიტებზე დროულად უნდა გამოცხადდეთ.

თუ ვიზიტზე ვერ მიდიხართ, შეატყობინეთ კლინიკას/ექიმს, რათა თქვენი ვიზიტის დროს სხვა ადამიანი ჩაეწეროს. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კლინიკას/ექიმს ტელეფონით და გააფრთხილოთ მას, რომ ვიზიტზე ვერ მოდიხართ. თუ მაინც გჭირდებათ ექიმის ნახვა, შეგიძლიათ სხვა ვიზიტზე ჩაეწეროთ.

დაავადების ან ტრავმის გამოკვლევის საჭიროების შემთხვევაში, თერაპევტს შეუძლია სამედიცინო ანალიზების დანიშვნა. ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება მიიღოთ მიმართვა საავადმყოფოს ექიმ-სპეციალისტთან. ექიმი-სპეციალისტის მიერ მკურნალობის დანიშვნა სამედიცინო საჭიროებაზეა დამოკიდებული.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ექიმი-სპეციალისტების სანახავად არსებობს **რიგის ლოდინის სია,** რაც ნიშნავს, რომ სანამ მათთან მოხვდებით, დიდი ხნის ლოდინი შეიძლება მოგიწიოთ.

როდის მუშაობს თერაპევტთა კაბინეტები?

თერაპევტთა მომსახურება ჩვეულებრივ დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდეა ხელმისაწვდომი.

არასამუშაო საათებში, ანუ საღამოს 6 საათიდან, **უმეტეს** ქალაქში თერაპევტის გადაუდებელი კონსულტაცია არის ხელმისაწვდომი. ასეთ მომსახურებას „არასამუშაო საათებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება" ეწოდება. თქვენს ადგილობრივ ოფისში შეგიძლიათ დააზუსტოთ, სად და როდის შეგიძლიათ არასამუშაო საათებში თერაპევტის საკონსულტაციო და სხვა მომსახურების მიღება. არასამუშაო საათებში სამედიცინო მომსახურების მიღება შეგიძლიათ მაშინ, როცა სასწრაფოდ გჭირდებათ ექიმის ნახვა საღამოს საათებში ან შაბათ-კვირას.

არასამუშაო საათებში ხელმისაწვდომია მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება. თუ თქვენს თერაპევტს კლინიკის არასამუშაო საათებში დაურეკავთ, მის ავტომპასუხეზე ჩაწერილი იქნება ინფორმაცია არასამუშაო საათებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ. როგორც წესი, ეს მომსახურება ხელმისაწვდომია ორშაბათიდან პარასკევამდე, საღამოს 6 საათიდან დილის 8 საათამდე, ასევე შაბათ-კვირას და საბანკო დღესასწაულებზე.

არასამუშაო საათებში გადაუდებელი დახმარების მისაღებად კლინიკაში ვიზიტზე ჩაწერა არ არის საჭირო. თუ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის გადაუდებელი, თერაპევტთან უნდა ჩაეწეროთ კლინიკის სამუშაო საათების განმავლობაში.

რა მოხდება, თუ თერაპევტს არასამუშაო საათებში დავურეკავ?

როცა თქვენს რაიონში სამედიცინო დაწესებულებას არასამუშაო საათებში დაუკავშირდებით, რეგისტრატორი თქვენს პირად მონაცემებს ჩაიწერს.

თქვენი ზარი გადამისამართდება ექთანთან, რომელიც გადმოგირეკავთ.

ექთანი გადაწყვეტს, გჭირდებათ თუ არა ექთნის კონსულტაცია ტელეფონით, ექიმთან ვიზიტი, სახლში გამოძახება, მიმართვა საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში, ან სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

Is it okay if I ask questions?

Yes, when you go to see your GP or any other health care professional, **it is very important that you ask any questions about your medication or treatment before you leave.** They will be happy to answer your questions.

Three useful questions you should ask:

What is my main problem?	**What do I need to do?**
Why is it important for me to do this?	(Taken from Ask Me 3®)

If your GP (doctor) prescribes you medicine, take the prescription (short document) to a pharmacy - also called chemist - to get your medicine.

Where do I get medicines?

You get medicines at your local **pharmacy** (chemist). A pharmacy is a shop where medicinal drugs are prepared and sold. A lot of medicines need a prescription from a GP (doctor). Pharmacists can provide information on other 'over the counter' medicines that don't need to be prescribed. Pharmacies are usually marked outside by the sign showing a green cross.

Ask

If you have a prescription, ask your pharmacist (chemist) the following questions:

- How much medicine do I need to take?
- How often do I need to take it?
- Should I take the medicine with food or before I eat?
- What, if any, are the side effects of taking the medicine?
- Where should I keep the medicines (in a fridge or a cool dark place)?

კლინიკის არასამუშაო საათებში მიღებული გადაწყვეტილებები ან მკურნალობა თქვენს სამედიცინო ისტორიაში აისახება, რომელიც თერაპევტს გადაეგზავნება. საჭიროების შემთხვევაში, თერაპევტმა მკურნალობის სათანადო გაგრძელება უნდა უზრუნველყოს.

შემიძლია დავსვა შეკითხვები?

დიახ, როცა თერაპევტთან ან სხვა სამედიცინო სპეციალისტთან მიდიხართ, **ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტის დასრულებამდე დაუსვათ მათ შეკითხვები თქვენი მედიკამენტების ან მკურნალობის კურსის შესახებ.** ისინი სიამოვნებით გიპასუხებენ.

სამი სასარგებლო შეკითხვა, რომელიც შეგიძლიათ დაუსვათ:

What is my main problem?	**რა არის ჩემი ძირითადი პრობლემა?**
What do I need to do?	**რა შეიძლება გავაკეთო?**
Why is it important for me to do this?	**რატომ არის მნიშვნელოვანი ჩემთვის ამის გაკეთება?**
(Taken from Ask Me 3®)	(ამოღებულია ნაწილიდან „დამისვი შეკითხვები 3®“)

თუ თქვენი თერაპევტი (ზოგადი პროფილის ექიმი) მედიკამენტს გამოგიწერთ, მედიკამენტის მისაღებად აფთიაქში რეცეპტი (მოკლე დოკუმენტი) უნდა წაიღოთ.

სად უნდა მივიღო მედიკამენტები?

მედიკამენტების მიღება შეიძლიათ ადგილობრივ **აფთიაქში**. აფთიაქი არის ადგილი, სადაც მზადდება და იყიდება სამედიცინო პრეპარატები. ბევრი მედიკამენტი თერაპევტის (ზოგადი პროფილის ექიმის) რეცეპტით გაიცემა. ფარმაცევტებს შეუძლიათ მოგაწოდონ ინფორმაცია სხვა „ურეცეპტო“ წამლების შესახებ, რომლის მისაღებად ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი საჭირო არ არის. როგორც წესი, აფთიაქები გარედან მწვანე ჯვრის ნიშნით არის მონიშნული.

დასვით შეკითხვები

თუ რეცეპტი გაქვთ, ფარმაცევტს (აფთიაქს) შემდეგი კითხვები დაუსვით:

- რამდენი მედიკამენტი უნდა მივიღო?
- რამდენად ხშირად უნდა მივიღო მედიკამენტი?
- მედიკამენტი ჭამის დროს ან ჭამამდე უნდა მივიღო?
- რა გვერდითი მოვლენები აქვს ამ მედიკამენტს, თუ არის?
- სად უნდა შევინახო მედიკამენტები (მაცივარში ან გრილ/ბნელ ადგილას)?

Tell:

Make sure you tell the pharmacist (chemist) **if** you:

- are taking any other medicines or herbal supplements
- have allergies
- have any medical conditions, are pregnant or think that you might be pregnant

Basic medicines and supplies

At the pharmacy, you can buy basic medicines and supplies like:

- paracetamol
- cough medicine, and bandages without a doctor's prescription
- you may find it useful to keep a small supply of over the counter medications to treat minor illnesses like paracetamol

Antibiotics

There are strict rules about prescribing antibiotic medication, and these can **only** be prescribed by a medical doctor or GP. Your pharmacist (chemist) will not let you have antibiotics unless you have a prescription.

Never share or exchange medicines

Never share or exchange prescription medicines with others. Prescription medicines are **only** to be used by the patient they have been prescribed for.

Do I have to pay for medicines that are prescribed?

With a medical card you do not pay the full price for medicines that have been prescribed for you. If you moved from an Accommodation Centre to your home and have a medical card, you have to pay the Government fee per medicine. **You must bring your medical card with you to the pharmacy, along with the money to pay the fee for each of the items prescribed.**

If you live in an Accommodation Centre, you may not have to pay these charges. However, if you lived in an Accommodation Centre and move to your home, you must pay the charges.

გააფრთხილეთ:

აუცილებლად გააფრთხილეთ ფარმაცევტს (აფთიაქს), **თუ** თქვენ:

- ღებულობთ ნებისმიერ სხვა მედიკამენტს ან მცენარეულ დანამატებს
- გაქვთ ალერგია
- გაქვთ ნებისმიერი სამედიცინო მდგომარეობა, ხართ ფეხმძიმე ან ფიქრობთ, რომ შეიძლება ფეხმძიმედ იყოთ

ძირითადი მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები

აფთიაქში რეცეპტის გარეშე შეგიძლიათ იყიდოთ ძირითადი მედიკამენტები ან სამედიცინო დანიშნულების საგნები, როგორიცაა:

- პარაცეტამოლი
- ხველების წამალი და სახვევები
- შეგიძლიათ იქონიოთ ურეცეპტო წამლების მცირე მარაგი, როგორიცაა პარაცეტამოლი, უმნიშვნელო დაავადებების სამკურნალოდ.

ანტიბიოტიკები

ანტიობიოტიკების დანიშვნაზე მკაცრი წესები მოქმედებს. მათი რეცეპტის გამოწერა **მხოლოდ** ექიმის ან თერაპევტის მიერ არის დაშვებული. ფარმაცევტი (აფთიაქი) ანტიბიოტიკს არ მოგყიდით, სანამ რეცეპტს არ წარადგენთ.

არასოდეს გაუზიაროთ ან გაუცვალოთ მედიკამენტები სხვებს

არასოდეს გაუზიაროთ ან გაუცვალოთ მედიკამენტები სხვებს. რეცეპტიანი მედიკამენტები განკუთვნილია **მხოლოდ** იმ პაციენტისთვის, რომლის სახელზეცაა გაცემული რეცეპტი.

უნდა გადავიხადო თუ არა გამოწერილი მედიკამენტის საფასური?

სამედიცინო ბარათის არსებობის შემთხვევაში, არ მოგიწევთ თქვენზე გამოწერილი მედიკამენტების სრული საფასურის გადახდა. თუ საცხოვრებელი ცენტრიდან სახლში გადახვედით და ამასთან ერთად, სამედიცინო ბარათი გაქვთ, თითო მედიკამენტზე სახელმწიფო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოთ. **აფთიაქში თან უნდა იქონიოთ სამედიცინო ბარათი და ფული თითოეულ გამოწერილ მედიკამენტზე მოსაკრებლის გადასახდელად.**

თუ საცხოვრებელ ცენტრში ცხოვრობთ, მოსაკრებლის გადახდა არ მოგიწევთ. თუმცა, თუ საცხოვრებელი ცენტრიდან სახლში გადახვალთ, მოსაკრებელი უნდა გადაიხადოთ.

Seriously unwell or get an unexpected serious illness

Only go to the emergency department in a hospital if you are:

- seriously unwell
- unexpectedly seriously unwell
- have a serious injury and are unable to get to a GP in time

The emergency department will only treat you if you have one of these situations. You must go to your GP (doctor) for all other treatments.

If you have an emergency and are in immediate danger, read Part 3 on page 18.

If you are not in immediate danger, go to your doctor

If you are not in immediate danger, do not go to the emergency department unless your GP tells you to and gives you a letter for the hospital staff.

If you go to the emergency department for a non-emergency, expect a very long wait. Staff in the emergency department will work first with patients who need emergency treatment.

Most medical issues can be dealt with by your GP or the GP out of hours service (after 6pm service).

თავს ძალიან ცუდად გრძნობთ, ან უეცრად განვითარებული სერიოზული დაავადება გაქვთ

საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებას უნდა მიმართოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- სერიოზულად ავად ხართ
- უეცრად ცუდად გახდით
- გაქვთ სერიოზული ტრავმა და თერაპევტს დროულად ვერ უკავშირდებით

გადაუდებელი დახმარების განყოფილება მკურნალობას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგიწევთ, თუ ერთ-ერთ ქვემოთ აღნიშნულ სიტუაციაში აღმოჩნდებით. სხვა სახის მკურნალობის მისაღებად, თქვენს თერაპევტს (ექიმს) უნდა მიმართოთ.

თუ გაქვთ გადაუდებელი შემთხვევა და უშუალო საფრთხე გემუქრებათ, წაიკითხეთ ნაწილი 3 მე-18 გვერდზე.

თუ უშუალო საფრთხე არ გემუქრებათ, მიმართეთ თქვენს ექიმს

თუ უშუალო საფრთხე არ გემუქრებათ, არ მიმართოთ გადაუდებელი დახმარების განყოფილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თერაპევტი საავადმყოფოში მიმართვის წერილს მოგცემთ.

თუ გადაუდებელი დახმარების განყოფილებას არასასწრაფო საკითხზე მიმართავთ, დიდი ხნის ლოდინი მოგიწევთ. საგანგებო დახმარების პერსონალი უპირველეს ყოვლისა იმ პაციენტებს ეხმარება, რომლებსაც გადაუდებელი მკურნალობა სჭირდებათ.

უმეტესი სამედიცინო პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია თქვენს თერაპევტს ან მორიგე თერაპევტს არასამუშაო საათებში (საღამოს 6 საათის შემდეგ).

Part 2:

This part of this guide gives you information about specialist services (dental treatments, eye tests, hearing aids, vaccinations). It also tells you about staff you may meet in the health system.

How do I get dental care?

If **your teeth** need attention, you can use the adult dental scheme run by the HSE (provided by the HSE for free if you have a medical card). It covers a limited range of treatments. To check what is available, you will need to visit a dentist's surgery in your area.

The website **www.hse.ie/eng/services/maps** will help you find a nearby dentist.

You may have to pay for some dental treatment. However, many dentists offer payment plans to help you spread the payments out.

Children's services

All children up to 16 years of age can access emergency dental clinics in the HSE Dental Service.

For advice on how to access emergency treatment, please contact your local clinic.

Some clinics have a walk in service and for others you need to make an appointment to examine their teeth.

Children in primary schools will usually be offered an appointment in 2nd, 4th and 6th class. Any necessary treatment will be provided. They will also be referred to specialist teeth services (orthodontic services) if needed and they qualify for these services.

How do I know if my dentist provides services for medical card holders?

A list of dentists who treat the holders of medical cards is available from your local health centre, Citizens Information centre or library. It is likely that the dentist you go to will be on the list.

ნაწილი 2:

გზამკვლევის ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია სპეციალისტების მომსახურების შესახებ (სტომატოლოგის მკურნალობა, მხედველობის ტესტი, სასმენი აპარატები, ვაქცინაციები). აქ ასევე მოცემულია ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომელიც შესაძლებელია ჯანდაცვის სისტემაში შეგხვდეთ.

როგორ ვისარგებლო სტომატოლოგიური მომსახურებით?

თუ **კბილების** მკურნალობა გჭირდებათ, შეგიძლიათ ზრდასრულთა სტომატოლოგიური მომსახურების პროგრამით ისარგებლოთ, რომელსაც ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო მართავს (ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო ამ პროგრამას უფასოდ მოგაწვდით, თუ სამედიცინო ბარათი გაქვთ). ის სამკურნალო პროცედურების შეზღუდულ სპექტრს მოიცავს. ხელმისაწვდომი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, თქვენს რაიონში არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკას უნდა ეწვიოთ.

ვებსაიტზე **www.hse.ie/eng/services/maps** შეგიძლიათ მოძებნოთ ახლო მდებარე სტომატოლოგიური კლინიკა.

ზოგიერთი სტომატოლოგიური პროცედურა ფასიანია. თუმცა, ბევრი სტომატოლოგი გადახდის გრაფიკებს გთავაზობთ, რომელიც გადახდების განაწილების საშუალებას იძლევა.

ბავშვთა სამედიცინო მომსახურება

16 წლამდე ყველა ბავშვს შეუძლია მიიღოს გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარება ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანოს სტომატოლოგიურ კლინიკებში.

გადაუდებელი დახმარების საკითხზე კონსულტაციისთვის, მიმართეთ თქვენს ადგილობრივ კლინიკას.

ზოგიერთი კლინიკა პაციენტებს ჩაწერის გარეშე ემსახურება, ხოლო ზოგიერთ კლინიკაში კბილების გამოსაკვლევად შეიძლება ვიზიტზე ჩაწერა დაგჭირდეთ.

დაწყებითი სკოლების მოსწავლეებს ვიზიტზე, როგორც წესი, მე-2, მე-4 და მე-6 კლასში ჩაწერენ. მათ ყოველგვარ აუცილებელ მკურნალობას გაუწევენ. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, ან თუ მათ ასეთი მომსახურების მიღების უფლება აქვთ, მიმართვას სპეციალისტ-სტომატოლოგთან (ორთოდონტური მომსახურება) მიიღებენ.

როგორ გავიგო, აწვდის თუ არა ჩემი სტომატოლოგი მომსახურებას სამედიცინო ბარათის მფლობელებს?

სტომატოლოგების სია, რომლებიც მომსახურებას სამედიცინო ბარათების მფლობელებს აწვდიან, ხელმისაწვდომია ადგილობრივ ჯანდაცვის ცენტრში, მოქალაქეთა საინფორმაციო ცენტრში ან ბიბლიოთეკაში. სტომატოლოგი, რომელთანაც დადიხართ, სავარაუდოდ,ამ სიაში იქნება.

How do I get treatment for eye problems?

If you are an adult with a medical card, you are entitled to a free eye test with an optician and a review appointment every 2 years.

If the optician decides you need glasses, you are entitled to a free new pair every 2 years if you have a medical card. If you are a medical card holder and are concerned about your eyesight, contact your local health centre to make an appointment with an optician.

If you are worried about your child's vision or their eyes, and they are:

- in pre-school - contact the public health nurse or GP
- in primary school - contact the school nurse or GP. School screening happens in junior infants and for all new entrants. They may send your child to a special eye doctor (an Opthalmologist).
- in secondary school - contact your GP

In an emergency, contact your GP / out of hours service / Emergency Department.

Hearing aids

Medical card holders are entitled to free hearing aid services from the HSE. If you want to get a hearing aid on your medical card, you must get your GP to sign a form saying you need one. You will need a full medical card, as you cannot claim a free hearing aid on a GP only card.

Aids and appliances

The HSE provides a wide range of medical and surgical aids and appliances, such as wheelchairs and walking aids. These are free of charge to medical card holders and people on the Long Term Illness Scheme. You need to be assessed by a relevant health professional.

Each Community Healthcare Organisation (CHO) uses the same way to give funding for medical and surgical appliances. Sometimes, you may be put on a waiting list for applies as this service is very popular.

როგორ მივიღო მხედველობასთან დაკავშირებული მკურნალობა?

თუ ზრდასრული ადამიანი ხართ და სამედიცინო ბარათს ფლობთ, ყოველ ორ წელიწადში ოპტიკოსთან მხედველობის უფასო ტესტის და საკონტროლო ვიზიტის უფლება გაქვთ.

თუ ოპტიკოსი ჩათვლის, რომ სათვალე გჭირდებათ, სამედიცინო ბარათის ქონის შემთხვევაში, ყოველ 2 წელიწადში ახალი სათვალის უფასოდ მიღების უფლება გაქვთ. თუ სამედიცინო ბარათს ფლობთ და მხედველობის პრობლემა გაწუხებთ, დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ ჯანდაცვის ცენტრს ოპტიკოსთან ვიზიტის დასანიშნად.

თუ შეწუხებული ხართ ბავშვის მხედველობის ან თვალებთან დაკავშირებული პრობლემების გამო,

- სკოლამდელი ბავშვების შემთხვევაში - დაუკავშირდით უბნის ექთანს ან თერაპევტს;
- დაწყებითი სკოლის ბავშვების შემთხვევაში - დაუკავშირდით სკოლის ექთანს ან თერაპევტს;. სასწავლო დაწესებულებებში სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და ყველა ახალშემოსულის სამედიცინო შემოწმება ტარდება. თქვენი შვილი შეიძლება თვალების ექიმ-სპეციალისტთან (ოფთალმოლოგთან) გააგზავნონ.
- საშუალო სკოლის ბავშვების შემთხვევაში - დაუკავშირდით თქვენს თერაპევტს.

საგანგებო შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს თერაპევტს / არასამუშაო საათებში სამედიცინო დახმარების სამსახურს / გადაუდებელი დახმარების განყოფილებას.

სასმენი აპარატები

სამედიცინო ბარათის მფლობელებს ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანოდან უფასო სასმენი აპარატის მიღების უფლება აქვთ. თუ სამედიცინო ბარათით სასმენი აპარატის მიღება გსურთ, თქვენს თერაპევტს უნდა სთხოვოთ, ხელი მოაწეროს შესაბამის ფორმას, სადაც უნდა ეწეროს, რომ აღნიშნული აპარატი გჭირდებათ. თქვენ სრული სამედიცინო ბარათი დაგჭირდებათ, რადგან უფასო სასმენ აპარატს მხოლოდ თერაპევტის ბარათის საფუძველზე ვერ მოითხოვთ.

დამხმარე საშუალებები და მოწყობილობები

ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო აწვდის სამედიცინო და ქირურგიული საშუალებებისა და მოწყობილობების ფართო სპექტრს, როგორიცაა ინვალიდის სავარძელი და გადაადგილების დამხმარე საშუალებები. აღნიშნული საშუალებები და მოწყობილობები უფასოა სამედიცინო ბარათის მფლობელებისა და ქრონიკული დაავადების პროგრამაში ჩართული პირებისთვის. ამისათვის, შესაბამის სამედიცინო სპეციალისტთან შემოწმება უნდა გაიაროთ.

თითოეული რაიონული ჯანდაცვის ორგანიზაცია (CHO) დაფინანსებას სამედიცინო და ქირურგიული მოწყობილობებისთვის იგივე წესით გასცემს. ზოგჯერ, შეიძლება ლოდინის სიაში ჩაგრთონ, რადგან ეს მომსახურება ძალიან პოპულარულია.

How do I or my children get vaccines we need?

Vaccinations can help to protect you and your family against certain diseases. You can discuss any questions or concerns with your GP or public health nurse. Vaccines need to be given when your child is at the right age so as to protect them.

It is important your children get their vaccines on time to protect them and other children who are too young to be fully vaccinated.

Your child needs to get vaccines at the right age to protect them. They need a number of vaccines - not just one. If your child got vaccinated before you moved to Ireland, speak to your doc.

Pregnant women should get the flu vaccine and the pertussis vaccine to project them against flu and whopping cough.

You will be asked to consent to receive (get) vaccinations for yourself and any children under the age of 16 in your care.

Vaccinations for children are free.

What is consent?

You will also be asked to give informed consent (agreement) for surgery and treatment. You need to understand your choices and what it means to consent to have a procedure, treatment or vaccine. Please ask medical staff to explain in detail what consent means for different procedures and treatments.

What if I don't speak English?

If you don't speak English, please tell the medical staff and ask if an interpreter can be arranged for you.

როგორ შეიძლება მე და ჩემმა შვილებმა საჭირო აცრები გავიკეთოთ?

ვაქცინაციას შეუძლია თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები გარკვეული დაავადებებისგან დაგიცვათ. ნებისმიერი კითხვები ან პრობლემები შეგიძლიათ თქვენს თერაპევტთან ან უბნის ექთანთან განიხილოთ. აცრები ბავშვებს შესაბამის ასაკში უნდა გაუკეთდეს, მათი დაცვის მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ თქვენს ბავშვებს აცრები დროულად ჩაუტარდეს, რათა დავიცვათ ისინი და სხვა პატარა ბავშვები, რომლებსაც ყველა აცრა ჯერ კიდევ არ უწევთ.

ბავშვებს გეგმიური აცრები შესაბამის ასაკში უნდა ჩაუტარდეთ, მათი დაცვის მიზნით. მათ არა ერთი, არამედ რამდენიმე აცრა სჭირდებათ. თუ თქვენი შვილი ირლანდიაში გადასვლამდე აიცრა, ამის შესახებ თქვენს ექიმს ესაუბრეთ.

ფეხმძიმე ქალებს გრიპისა და ყივანახველას საწინააღმდეგო აცრები უნდა გაუკეთდეს, ამ დაავადებებისგან მათი დაცვის მიზნით.

თქვენ გთხოვენ, რომ გასცეთ თანხმობა აცრების გაკეთებაზე (ჩატარებაზე) თქვენთვის და თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ 16 წლამდე ბავშვებისთვის.

ბავშვების ვაქცინაცია უფასოა.

რა არის თანხმობა?

თქვენ ასევე გთხოვენ, გასცეთ ინფორმირებული თანხმობა (შეთანხმება) ქირურგიული ოპერაციასა და მკურნალობაზე. თქვენ უნდა გესმოდეთ, რაზე აძლევთ თანხმობას და რას ნიშნავს თანხმობა პროცედურაზე, მკურნალობაზე ან აცრაზე. სთხოვეთ სამედიცინო პერსონალს დეტალურად აგიხსნათ, რას ნიშნავს თანხმობა სხვადასხვა სახის პროცედურებსა და მკურნალობაზე.

რა გავაკეთო, თუ ინგლისურად ვერ ვსაუბრობ?

თუ ინგლისურად ვერ საუბრობთ, უთხარით ამის შესახებ სამედიცინო პერსონალს და ჰკითხეთ, შეუძლიათ თუ არა მათ თქვენთვის თარჯიმნის დახმარება.

In Case of Emergency (ICE)

Health care staff will ask you to provide contact details for:

- your spouse or a family member or
- a person you know that they can contact if you need help

In an emergency, we will ask you for these contact details. We keep this information in our records. We treat this information as private and confidential. In case of emergency (ICE) contacts should be adults you know and trust.

- Please put an ICE contact number on the contacts list in your mobile phone.
- Consider keeping the following text message on your phone in English for medical appointments:

My name is _____.

My date of birth is _____.

I speak Arabic (or another language), and I need an interpreter please.

(If I cannot speak) please contact the following

person: _____

Relationship: _____

Location (address): _____

Phone / email details: _____

You may also find it useful to put this message in your phone in English in case you get lost:

Hi, my name is _____.
I am new to Ireland and I am lost.

My address is _____

_____

_____

My eircode is: _____

გადაუდებელ შემთხვევაში

სამედიცინო პერსონალი გთხოვთ, რომ მათ შემდეგი პირების საკონტაქტო ინფორმაცია მიაწოდოთ:

- თქვენი მეუღლე ან ოჯახის წევრი, ან
- ადამიანი, რომელსაც იცნობთ, რათა მათ შეძლონ მათთან დაკავშირება იმ შემთხვევაში, თუ დახმარება დაგჭირდებათ

გადაუდებელ შემთხვევაში, ჩვენ ამ საკონტაქტო მონაცემებს მოგთხოვთ. ამ ინფორმაციას ჩვენს ჩანაწერებში ვინახავთ და მას, როგორც პირად და კონფიდენციალურ ინფორმაციას განვიხილავთ. გადაუდებელ შემთხვევაში საკონტაქტო პირები უნდა იყონ ზრდასრული ადამიანები, რომლებსაც იცნობთ და ენდობით.

- გთხოვთ, გადაუდებელ შემთხვევაში საკონტაქტო პირების ნომრები თქვენი მობილური ტელეფონის საკონტაქტო სიაში ჩაიწეროთ.
- გაითვალისწინეთ, რომ სამედიცინო ვიზიტებისთვის თქვენს ტელეფონში ჩაწერილი უნდა იყოს შემდეგი ტექსტური შეტყობინება ინგლისურ ენაზე:

ჩემი სახელი და გვარია _____.

ჩემი დაბადების თარიღია _____.

მე ვსაუბრობ არაბულ (ან სხვა) ენაზე და მჭირდება თარჯიმანი.

(თუ საუბარს ვერ შევძლებ), გთხოვთ, დაუკავშირდეთ

შემდეგ პირს: _____

ნათესაური კავშირი: _____

ადგილი (მისამართი): _____

ტელეფონი / ელფოსტის მისამართი: _____

ასევე, იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგებით, კარგი იქნებოდა თქვენს ტელეფონში ინგლისურ ენაზე შემდეგი შეტყობინების შენახვა:

გამარჯობა, ჩემი სახელი და გვარია _____.

ირლანდიაში ახლახან ჩამოვედი და დავიკარგე.

ჩემი მისამართია _____

_____

_____

ჩემი რაიონის კოდია: _____

What other health professionals might I meet?

When you use our health system, you will meet doctors, pharmacists and other professionals:

- Occupational therapists
- Physiotherapists
- Public health nurses.

(see below for details of what these people do)

Occupational therapists and physiotherapists

If you have difficulty standing, walking or moving, or if you are recovering from an injury, you will likely get an appointment with an **occupational therapist or physiotherapist.**

Public health nurse

A public health nurse may come to see you or make an appointment at a local clinic. Public health nurses mainly look after:

- babies and children
- new mothers
- older people

If you get a visit from a public health nurse, community general nurse or an occupational therapist, this is usually as a result of your name being given to them by the HSE following your visit to a GP or hospital. You can get more information about these services from your local HSE health centre, your GP or online at: hse.ie/eng/services/list/2/PrimaryCare

კიდევ რომელ სამედიცინო სპეციალისტებს შემიძლია ვეწვიო?

ჩვენი ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში, შეგიძლიათ ეწვიოთ ექიმებს, ფარმაცევტებს და სხვა სამედიცინო სპეციალისტებს:

- პროფესიული თერაპევტები
- ფიზიოთერაპევტები
- უბნის ექთნები.

(ქვემოთ იხილეთ ინფორმაცია, თუ რა შედის ამ პირების კომპეტენციაში)

პროფესიული თერაპევტები და ფიზიოთერაპევტები

თუ გაქვთ სირთულეები დგომის, სიარულის ან მოძრაობის დროს, ან თუ ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციას გადიხართ, სავარაუდოდ, **პროფესიულ თერაპევტს** ან **ფიზიოთერაპევტს** უნდა ეწვიოთ.

უბნის ექთანი

უბნის ექთანი შეიძლება სახლში გეწვიოთ ან შეხვედრა ადგილობრივ კლინიკაში დაგინიშნოთ. უბნის ექთნები ძირითადად უვლიან:

- ჩვილებს და ბავშვებს
- ახალშობილთა დედებს
- მოხუც ადამიანებს

თუ უბნის ექთანი, ქალაქის ექთანი ან პროფესიული თერაპევტი გეწვევათ, ეს შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ თერაპევტთან ან საავადმყოფოში ვიზიტის შემდეგ ჯანდაცვის აღმასრულებელმა ორგანომ მათ თქვენი სახელი და გვარი გადასცა. ამ მომსახურების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანოს სამედიცინო ცენტრიდან, თქვენი თერაპევტისგან ან ონლაინ შემდეგ მისამართზე: hse.ie/eng/services/list/2/PrimaryCare

Part 3: What to do in an emergency

What do I do in an emergency?

In an emergency, you have two choices. You can:

- ring 999 or 112 (it's a free phone call) and ask for an ambulance or
- go to your nearest emergency department in the hospital
- If you have an emergency related to pregnancy, you should contact or go directly to your local Maternity unit/hospital

1. Ring for help (999 or 112)

If you ring one of these numbers, you can call for an ambulance. These numbers can also be used to call the gardaí (police), fire service, lifeboat, coastal and mountain rescue services.

Try and have the following information ready when you speak to the emergency call operator:

- name of sick or injured person and their date of birth
- a description of what is wrong with the person (type of injury), any medical conditions or allergies that you know of)
- where you are and your eircode (if you know it)

If you can, tell the ambulance people the name of the person's GP and a list of medications the person is taking.

Don't worry if you can't do this.

When you ring emergency services, the staff there will ask you to stay 'on the line' (this means stay on the phone) and, if they think it helps, they will tell you what to do.

The operator on the emergency services phone line may also be able to provide an interpreter if you need one.

Sometimes a rapid response person (a person with medical training to help you) may arrive to offer help before the ambulance arrives.

ნაწილი 3: როგორ უნდა მოიქცეთ გადაუდებელ შემთხვევაში

როგორ მოვიქცე გადაუდებელ შემთხვევაში?

გადაუდებელ შემთხვევაში ორი არჩევანი გაქვთ. შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე:

- 999 ან 112 (უფასო ტელეფონის ნომერი) და გამოიძახოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ან
- ეწვიოთ თქვენთან ახლოს მდებარე საავადმყოფოში არსებულ გადაუდებელი დახმარების განყოფილებას.
- თუ გაქვთ ორსულობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, უნდა დაუკავშირდეთ ან პირდაპირ წახვიდეთ ადგილობრივ სამშობიარო განყოფილებაში/საავადმყოფოში

1. დახმარებისთვის დარეკეთ (999 ან 112)

თუ ამ ნომრებზე დარეკავთ, შეგიძლიათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახოთ. ამ ნომრებზე ასევე შეგიძლიათ გამოიძახოთ პოლიცია, სახანძრო, მაშველი ნავი, სანაპირო და მთის სამაშველო სამსახურები.

საგანგებო ზარის ოპერატორთან საუბრისას, მზად იქონიეთ შემდეგი ინფორმაცია:

- ავადმყოფის ან დაშავებული პირის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი;
- უნდა აღწეროთ, რა აწუხებს ამ ადამიანს (ტრავმის ტიპი), მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ან ალერგიები, რომლებიც თქვენთვის ცნობილია;
- სად იმყოფებით და თქვენი რაიონის კოდი (თუ იცით).

თუ შესაძლებელია, შეატყობინეთ სასწრაფო დახმარების სამსახურს ავადმყოფის თერაპევტის სახელი და გვარი და რა მედიკამენტებს ღებულობდა ავადმყოფი.

არ ინერვიულოთ, თუ ამის გაკეთება არ შეგიძლიათ.

თუ საგანგებო სამსახურებს უკავშირდებით, პერსონალი გთხოვთ, რომ „ხაზზე დარჩეთ“ (ეს ნიშნავს, რომ ტელეფონის ხაზზე უნდა დარჩეთ) და თუ ისინი საჭიროდ ჩათვლიან, შეიძლება მოგცენ მითითებები, თუ როგორ უნდა მოიქცეთ.

საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სამსახურის ოპერატორს ასევე შეუძლია თქვენთვის თარჯიმნის უზრუნველყოფა.

ზოგჯერ ოპერატიული მორეაგირე (სამედიცინო მომზადების მქონე პირი, რომელსაც შეუძლია თქვენთვის დახმარების გაწევა) შეიძლება თქვენთან დასახმარებლად მოვიდეს, სანამ სასწრაფო დახმარება მოვა.

2. Go to the emergency department in a hospital

In an emergency where you or someone you know has a serious and unexpected illness or injury, you could go to the emergency department in a hospital.

- If you have an emergency related to pregnancy, you should contact or go directly to your local Maternity unit/hospital.

If you want to speak to someone over the phone about how you are feeling call 1 of the two phone services below.

Suicide risk

Call 999 or 112 if you or someone you know is about to harm themselves or someone else.

Mental health crisis

A mental health crisis often means that you no longer feel able to cope or be in control of your situation.

In a crisis, you must get help as soon as possible.

A GP can offer support for anyone in crisis. If possible, ask someone to come along with you.

Go to or call the emergency department of your local general hospital www.hse.ie/eng/services/maps/

The YourMentalHealth information line is a phone service you can call any time.

A member of our team can tell you about:

- the mental health supports and services available to you
- how to access different services provided by the HSE and our funded partners
- opening hours

Freephone: 1800 111 888

The YourMentalHealth information line is not a counselling service.

Visit **www.yourmentalhealth.ie** for more information.

2. ეწვიოთ საავადმყოფოში არსებულ გადაუდებელი დახმარების განყოფილებას.

საგანგებო სიტუაციაში, როცა თქვენ ან თქვენს ნაცნობს აქვს სერიოზული და მოულოდნელი დაავადება ან ტრავმა, შეგიძლიათ მიმართოთ საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებას.

- თუ გაქვთ ორსულობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, უნდა დაუკავშირდეთ ან პირდაპირ წახვიდეთ ადგილობრივ სამშობიარო განყოფილებაში/საავადმყოფოშიბ

თუ გსურთ ტელეფონით ისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გრძნობთ თავს, ერთ-ერთ ქვემოთ მითითებულ ნომერზე დარეკეთ.

თვითმკვლელობის რისკი

დარეკეთ 999 ან 112, თუ თქვენ ან თქვენი ნაცნობი აპირებს საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ზიანის მიყენებას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის კრიზისი

ფსიქიკური ჯანმრთელობის კრიზისი ნიშნავს, რომ საკუთარ თავს ვეღარ აკონტროლებთ.

კრიზისის შემთხვევაში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოიძახოთ დახმარება.

კრიზისის შემთხვევაში, თერაპევტს შეუძლია ნებისმიერ პირს გაუწიოს დახმარება. თუ შესაძლებელია, სთხოვეთ ვინმეს, რომ თქვენ წამოგყვეთ.

მიმართეთ ან დაუკავშირდით თქვენი რაიონის ზოგადი პროფილის საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებას www.hse.ie/eng/services/maps/

YourMentalHealth (თქვენი ფსიქიკური ჯანმრთელობის) საინფორმაციო ხაზი არის სატელეფონო სამსახური, რომელსაც ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ.

ჩვენი ჯგუფის წევრი მოგიყვებათ:

- თქვენთვის ხელმისაწვდომი ფსიქიკური ჯანმრთელობის დახმარებისა და მომსახურების შესახებ
- როგორ უნდა ისარგებლოთ ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანოს ან ჩვენს მიერ დაფინანსებული პარტნიორების მიერ შეთავაზებული მომსახურებით
- სამუშაო საათები

Freephone (უფასო ტელეფონი): 041 685 888

YourMentalHealth საინფორმაციო ხაზი არ არის საკონსულტაციო მომსახურება.

დეტალური ინფორმაციისთვის, ეწვიეთ **www.yourmentalhealth.ie.**

Other phone supports

If you want to speak to someone over the phone about how you are feeling call 1 of the two phone services below.

Samaritans

The Samaritans telephone service is available 24 hours a day. They provide a listening service to anyone who needs it, no matter what you are going through.

For confidential, non-judgmental support:

- Freephone: 116 123
- Email: jo@samaritans.ie
- Visit www.samaritans.ie for details of the nearest branch

Pieta House

They provide support for people who are suicidal and people who self-harm.

- Freephone: 1800 247 247
- Text HELP to 51444 – standard message rates apply

ChildLine

- Freephone 1800 66 66 66
- Free text the word Talk to 50101

Face-to-face support

For face-to-face support contact your GP.

Urgent help

Call 999 or 112 and ask for the ambulance service if you or someone you know needs emergency help.

There may be other local health supports, including mental health supports, in your area.

Visit www.yourmentalhealth.ie for more information.

სხვა სატელეფონო მხარდაჭერის სამსახურები

თუ გსურთ ტელეფონით ისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გრძნობთ თავს, ერთ-ერთ ქვემოთ მითითებულ ნომერზე დარეკეთ.

სამარიელები

სამარიელთა სატელეფონო სამსახური ხელმისაწვდომია დღეში 24 საათის განმავლობაში. ეს სამსახური ტელეფონით მოსმენის მომსახურებას აწვდის ნებისმიერ პირს, ვისაც ეს სჭირდება, მიუხედავად იმისა, თუ რა პრობლემა აწუხებს.

კონფიდენციალური, ობიექტური დახმარების მისაღებად დარეკეთ:

- Freephone: 116 123
- ელფოსტა: jo@samaritans.ie
- ეწვიეთ www.samaritans.ie, სადაც უახლოესი ფილიალის მონაცემებია მოცემული

Pieta House

ის დახმარებას ისეთ ხალხს უწევს, ვისაც თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების აზრები აწუხებთ.

- Freephone: 1800 247 247
- ტექსტურ შეტყობინებაში აკრიფეთ HELP (დახმარება) და გააგზავნეთ ნომერზე 51444 – მოქმედებს სტანდარტული შეტყობინების ტარიფები

ChildLine (ბავშვთა სატელეფონო ხაზი)

- Freephone 1800 66 66 66
- ტექსტურ შეტყობინებაში თავისუფალი ფორმით დაწერეთ სიტყვა „საუბარი“ და გააგზავნეთ ნომერზე 50101

პირადი დახმარება

პირადი დახმარების მისაღებად, თქვენს თერაპევტს დაუკავშირდით.

გადაუდებელი დახმარება

აკრიფეთ 999 ან 112 და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება, თუ თქვენ ან თქვენს ნაცნობს გადაუდებელი დახმარება გჭირდებათ.

თქვენს რაიონში შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სხვა სახის ადგილობრივი სამედიცინო დახმარების სამსახურები, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურები.

დეტალური ინფორმაციისთვის, ეწვიეთ www.yourmentalhealth.ie.

Who we are ...

The HSE is responsible for delivering public health care services in Ireland. HSE stands for Health Service Executive. It was set up by the Irish Government.

In the HSE, we want to give you the best possible care and treatment. There may be times, however, when you think we could do better and sometimes you may even want to tell us about something we have done well.

Whatever age you are, you have rights when it comes to your health including:

- the right to have your say and be listened to
- the right to complain if you are not happy about something we have done

We want you to tell us if you have a comment, compliment or complaint about your health care. For information on how to make a comment, compliment or complaint, please visit:

ვინ ვართ ჩვენ...

ირლანდიაში HSE საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებაზეა პასუხისმგებელი. HSE ჯანდაცვის აღმასრულებელ ორგანოს ნიშნავს. ის ირლანდიის მთავრობის მიერ შეიქმნა.

HSE-ში უმაღლესი ხარისხის სამედიცინო დახმარებას და მკურნალობას გაგიწევენ. თუმცა, ხანდახან შეიძლება იფიქროთ, რომ ზოგი რამ დასახვეწი გვაქვს, ან პირიქით, შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი გვითხრათ, რომ რაღაცა კარგად გავაკეთეთ.

თქვენი ასაკის მიუხედავად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები გაქვთ, მათ შორის:

- უფლება გამოთქვათ საკუთარი აზრი და უფლება მოგისმინონ
- ჩივილის უფლება, თუ არ ხართ კმაყოფილი იმით, რასაც ვაკეთებთ

გვითხარით, თუ გაქვთ რაიმე კომენტარი, საჩივარი ან დადებითი შეფასება თქვენთვის მიწოდებულ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დატოვოთ კომენტარი, დადებითი შეფასება ან საჩივარი, მოცემულია შემდეგ ვებგვერდზე:

www.hse.ie/eng/services/yourhealthservice/feedback/Complaint/

We hope you found this guide useful

The information in this book, including the resources and links, does not replace medical advice from healthcare professionals such as your nurse, public health nurse, GP or obstetrician.

Everyone is different.

Always talk with a healthcare professional to give you the medical advice and care you need.

We have made all efforts to make sure this guide is up to date in terms of medical advice. But, with so many changes happening in healthcare, this is difficult. We will update this guide again to include new information when we print it again.

We hope you found the information helpful and wish you a good experience using our health system.

იმედია, ეს გზამკვლევი თქვენთვის სასარგებლო იქნება

ამ წიგნში მოცემული ინფორმაცია, მათ შორის რესურსები და ბმულები, არ ჩაანაცვლებს სამედიცინო რეკომენდაციებს, რომლებსაც სამედიცინო სპეციალისტები მოგცემენ, მაგ., თქვენი ექთანი, უბნის ექთანი, თერაპევტი ან გინეკოლოგი.

ყველა მათგანი განსხვავებულია.

ყოველთვის ესაუბრეთ სამედიცინო სპეციალისტს, რომელიც თქვენთვის საჭირო სამედიცინო რეკომენდაციას და მომსახურებას გაგიწევთ.

ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ იმისათვის, რომ ამ გზამკვლევში განახლებული სამედიცინო რჩევები ასახულიყო. თუმცა, ეს ძალიან რთულია, ჯანდაცვის სფეროში მომხდარი მრავალი ცვლილების გათვალისწინებით. ამ გზამკვლევს კვლავ განვაახლებთ, რათა მისი გამოქვეყნების მომენტისთვის მასში ახალი ინფორმაცია აისახოს.

იმედი გვაქვს, რომ ეს ინფორმაცია თქვენთვის სასარგებლოა და გისურვებთ სასიამოვნო გამოცდილებას ჩვენი ჯანდაცვის სისტემით სარგებლობისას.

Get more information

You can get lots of further useful information on the following web links:

მიიღეთ უფრო მეტი ინფორმაცია

დამატებითი სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ ეწვიოთ ამ ვებ ბმულებს:

www.hse.ie	
The Health Service Executive provides health services in Ireland, the websites below are all part of the HSE and will give you further information on those services and supports.	ჯანდაცვის აღმასრულებელი ორგანო (HSE) სამედიცინო მომსახურებას ირლანდიაში აწვდის. ქვემოთ მოცემული ყველა ვებსაიტები HSE-ს ნაწილს წარმოადგენს. აქ მოცემულია დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული სამედიცინო მომსახურების და დახმარების შესახებ.

www.hse.ie/eng/about/Who/primarycare/socialinclusion/about-social-inclusion/translation-hub	
Translated documents on common health concerns and other topics as well as access to online health apps	გადათარგმნილი დოკუმენტები საერთო სამედიცინო პრობლემებსა და სხვა საკითხებზე, მათ შორის წვდომა ონლაინ სამედიცინო აპლიკაციებზე

www.immunisation.ie	
Information about vaccination	ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ

undertheweather.ie	
Health education and management of minor illnesses	ინფორმაცია ჯანდაცვის საკითხებზე და მსუბუქი დაავადებების მართვა

www.yourmentalhealth.ie	
Supports and education for your mental health	მხარდაჭერა და ინფორმაცია თქვენი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხზე

www.medicalcard.ie	
Medical card online service	სამედიცინო ბარათის ონლაინ მომსახურება

მნიშვნელოვანი საკონტაქტო ინფორმაცია					
Doctor:		ექიმი:	Tel:		ტელ:
Local health office:		ადგილობრივი ჯანდაცვის დაწესებულება:	Tel:		ტელ:
Public Health Nurse:		უბნის ექთანი:	Tel:		ტელ:
Accident and Emergency Department:		სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების განყოფილება:	Tel:		ტელ:
Out of hours GP Service:		თერაპევტის მომსახურება არასამუშაო საათებში:	Tel:		ტელ:
Pharmacy:		აფთიაქი:	Tel:		ტელ:
Maternity Services:		სამშობიარო მომსახურება:	Tel:		ტელეფონი: